მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 20 ივნისი.

“დინამო” (მინსკი) - “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

მინსკი: გლუხოტკო, კუზნეცოვი, ზარემბო, რიომინი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, ტოლეიკო (კაბერსკი), ვასილიევი, მუსტიგინი (ნაგორნი), მალოფეევი, სახაროვი.

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი (გ. ნოდია), კუტივაძე, მეტრეველი, ასათიანი, გავაშელი.

მსაჯი ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 3:3.

ზედმეტია ლაპარაკი მატჩის შედეგზე - მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის, როგორც თბილისელი, ისე მინსკელი ფეხბურთელები 20 ივნისისთვის სულ ახლოს იყვნენ ლიდერთა სამეულთან, თანაც განსხვავება მათს აქტივში მინიმუმს, სულ 1 ქულას შეადგენდა. წინ თბილისელები იყვნენ, მაგრამ წარმატების შემთხვევაში მასპინძლებს შეეძლოთ მათი ადგილი დაეკავებინათ გათამაშების ცხრილში.

ასეთმა სატურნირო მდგომარეობამ დიდი “ცეცხლი შეუნთო” თანაკლუბელთა მატჩს: იგი მიმდინარეობდა მაღალ ტემპში, დაძაბული ბრძოლა არც ერთი წუთით არ ცხრებოდა.

საერთო ტერიტორიულ უპირატესობას თავიდან სტუმრებმა მიაღწიეს. მათ კარგად ააწყვეს თამაში და პირველივე წუთებიდან გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა შექმნეს, კერძოდ, გავაშელი და ასათიანი საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში გაბედული თამაშით გამოიჩინა თავი გლუხოტკომ.

ისევ თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმი, მაგრამ მინსკელთა კონტრიერიშები სულ უფრო სახიფათო ხასიათს ღებულობდა. თბილისელთა დაცვა ხშირად ძალების სრული დაძაბვით იბრძოდა, ხოლო ურუშაძეს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

გოლი, რომელმაც თბილისელებს დამსახურებული გამარჯვება მოუტანა, 86-ე წუთზე გაიტანა გ. ნოდიამ. დარჩენილ რამდენიმე წუთში სტუმრებს გამარჯვების შენარჩუნება არ დასჭირვებიათ.

გ. ურგანოვიჩი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 22 ივნისი, 1968 წ.